„ქართული გენია როკვით განფენილი“

საქართველოს ქორეოგრაფია

გამოდის 1992 წლის იანვრიდან

№12 (58), იანვარი-თებერვალი 2016 წელი

ქორეოლოგია — ქორეოგრაფია — საზოგადოება

ფასი 2 ლარი

ქართული ქორეოფოლკლორული ხელოვნების ზეიმი

გვ.3-4

კულტურული ერთობით განპირობებული სახელმწიფო პოლიტიკური ერთიანობა

გვ.2-5

მესტვირის სადღეგრძელო

გვ.5

ქართული ცეკვის ფენომენი და მისი როლი მოსწავლე ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში

გვ.5

კულტურული ერთობით განპირობებული სახელმწიფო პოლიტიკური ერთიანობა

თითოეული თქვენგანი, ვისაც საქართველოს მასშტაბით გამართულ ფესტივალ-კონკურსებში მონაწილეობა მიგიღიათ, უსათუოდ შეამჩნევდით, თუ რა გატაცებით ასრულებენ ქვეყნის სხვადასხვა მხრიდან ჩამოსული თქვენი თანატოლები ამათუიმ კუთხის ცეკვებს. მათ შორისაა აჭარული „განდაგანა“, გურული „ფერხული-ფარცაკუკუთი“, სვანური „ცერული“, მეგრული „ჯანსულო“, სახასიათო-სახუმარო „რაჭული სუიტა“, ოსური „სიმდი“, აფხაზური „შარათინ“, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთისათვის დამახასიათებელი „მოხევური“, ხევსურული „ფარიკაობა“, თუშური „საზეიმო“, ასევე ქართლ-კახეთისა და მესხეთ-ჯავახეთის ცეკვები და ა.შ.

ეს სრულიად ბუნებრივი მოვლენაა, რადგან ჩვენ ერთ ისტორიულ ფესვზე ამოზრდილ ქვეყანას, ერთ დიდ ხალხს წარმოვადგენთ და ყველანი ვალდებულნი ვართ გავუფრთხილდეთ ამ ერთობას, გადავარჩინოთ და განვავითაროთ კიდეც ჩვენი საერთო წინაპრების მიერ შექმნილი ტრადიციული კულტურა. თუ ვინმეს ჰგონია, რომ ამგვარ დასკვნამდე მხოლოდ ჩვენი თაობა მივიდა და მამაპაპანი ასევე არ ფიქრობდნენ, ის უთუოდ ცდება. ნათქვამის დასამტკიცებლად რამდენიმე მაგალითს მოვიყვან. დავიწყოთ უძველესის გახსენებით, თანაც ჩვენთვის ხელმისაწვდომი პერიოდიდან.

ისტორიის მკვლევარებმა დაადგინეს, რომ ცნება-გამოთქმა „ქართველი ხალხი“ უძველესი დროიდანვე გულისხმობდა სამი ნათესავი გვარ-ტომის: ქართების, მეგრელებისა და სვანების ერთობას. სწორედ ეს სამეული აერთიანებდა სხვადასხვა დროს კასპიისა და შავ ზღვას შორის მოქცეულ ტერიტორიაზე მცხოვრებ ხალხებს: იბერებს, კოლხებს, კახელებს, თუშ-ფშავ-ხევსურებს, მესხებსა და ტაოელებს, კლარჯელ-შავშელ-ერუშელებს, ჯავახებს, ლაზებს, ლეჩხუმელებს, რაჭველებს, მარგველებს, გურულთ და ა.შ.

სწორედ აღნიშნული ხალხების სხვადასხვა განლაგებითა და კონფიგურაციით იქმნებოდა ახალ-ახალი სახელმწიფო გაერთიანებები, თანაც, ყველა მათგანი, უსათუოდ ქართული იყო.

ქართველ ხალხს გამოვლილი აქვს საქმიანობის, მეურნეობის ყველა ის ეტაპი და პერიოდი, რაც კი კაცობრიობის ისტორიაში სხვა ხალხებს გაუვლიათ. ესაა შემგროვებლობა, მონადირეობა, მესაქონლეობა, მიწათმოქმედება, მელითონეობა... ჩვენს სახელოვან წინაპრებს გადაუხდიათ უამრავი დიდი და მცირე ომი, ყოფილან გამარჯვებულებიც და დამარცხებულებიც... ქართველებმა შექმნეს უდიდესი კულტურა, უმშვენიერესი დამწერლობა, მრავალხმიანი (პოლიფონიური) სასიმღერო შედევრები, უაღრესად დახვეწილი საცეკვაოები... და მაინც თუ ძველ ბერძნებს ვერწმუნებით, ქართველთა უმთავრესი საქმე მიწათმოქმედება ყოფილა. სწორედ ამის გამო გვიწოდეს „გეორგია“, ან კიდევ „გეორგიანი“, რაც თარგმანში მიწათმოქმედებას, მიწათმოქმედს ნიშნავს.

ის ფაქტი, რომ ჩვენი ისტორიული წინაპრები „მიწათმოქმედი“ ხალხი იყო, თავისთავად არც კარგია და არც ცუდი.

ეს უბრალოდ იმას ნიშნავს, რომ ის ხალხი, ვინც დღევანდელი საქართველოს არეალში დამკვიდრდა, ძალიან ადრეულ ეტაპზე მორჩა მომთაბარე ცხოვრებას, გადავიდა ბინადარ ყოფაზე, მოიშინაურა სასარგებლო ნადირ-ფრინველი, ტყის და მთა-ბარის ფერდობებზე მიაკვლია საკვებად თუ სამკურნალოდ ვარგის ხე-მცენარეებს, ყვავილებს, ძირხვენებსა და მათ მსგავს ბალახ-ბულახს. მოამრავლა ისინი, გამოიყვანა ახალი ჯიშები, გადავიდა ხვნა-თესვაზე და გახდა დინჯი სამეურნეო ცხოვრების მიმდევარი.

ყველაფერმა ამან, ჩვენს წინაპრებს გამოუმუშავა ხასიათის თვისებები, რომელიც მოგვიანებით გამომჟღავნდა რელიგიურ წეს-ჩვეულებებში, კულტმსახურებაში დღესასწაულების მოწყობის წესში, ცეკვაში, სიმღერასა და ლექსში.

ბინადარ ცხოვრებაზე და მიწათმოქმედებაზე გადასული ჩვენი წინაპრების ხასიათი კარგად გამოჩნდება თუ მას შევუდარებთ ბევრი სხვა ერის ადამიანთა ხასიათს, რომელიც მუდმივ მომთაბარეობას, მოძრაობას, გადასვლა-გადმოსვლასა და მტაცებლურ ცხოვრებას იყო დაჩვეული. ასეთებმა ისტორიულად საგულისხმო და მოსაწონი ბევრი ვერაფერი შექმნეს.

უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენი წინაპრები მხოლოდ მოგერიებით, მხოლოდ თავდაცვით ომებს აწარმოებდნენ და ეს კარგად ჩანს მათ მიერ შექმნილ ხელოვნების ნიმუშებში...

იდგა ძვ.წ. აღ-ის VI საუკუნე, როდესაც დასავლეთ საქართველოში ჩამოყალიბდა ეგრისის ანუ კოლხეთის სამეფო. მისი ტერიტორიები ჭოროხიდან კავკასიონის ქედებამდე იყო გადაჭიმული. იმდროინდელი აღმოსავლეთის, წინააზიის, ახლო აღმოსავლეთის დამაწიოკებელ ბოროტების იმპერიას აქემენიდურ ირან-სპარსეთს ეგრისზე ხელი არ მიუწვდებოდა. სამაგიეროდ აქ, ძვ.წ. VII ს-დან, ახალშენების სახით ნელ-ნელა შემოდიოდა და მკვიდრდებოდა ბერძნულ-ელინური სამყარო.

გავიდა ცოტა ხანი და იმავე VI ს-ში აღმოსავლეთისა და სამხრეთის ქართველთაგან შეიქმნა ქართლის ანუ იბერიის სამეფო, რომლის დედაქალაქად მცხეთა გამოცხადდა.

მცირე აზიის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, სადაც უმთავრესად ქართველური წარმოშობის ტომები ცხოვრობდნენ (ხალიბები, მოსინიკები, მაკრონები, კოლხები, ტაოხები და სხვა), ალექსანდრე მაკედონელის გარდაცვალების შემდეგ, წარმოიშვა პონტოს სამეფო. აქ სახელმწიფო ენა ყოველთვის ბერძნული იყო, რის გამოც თვითონ ქართველები „პონტოელებს“ ბერძნებს ეძახდნენ.

აი, სწორედ ამ სამეფოდან მოვიდა ქალაქ მცხეთას თავისი ძლიერი ჯარით სარდალი აზონი, რომელიც თურმე ალექსანდრე მაკედონელის ლაშქარში იყო გაწვრთნილ-გამოზრდილი. მან დაიპყრო მცხეთა და დაახოცვინა იქაური მამასახლისი სამარა, თავის ძმასთან ერთად. სწორედ აზონმა აღმართა არმაზის ორი ვერცხლის კერპი „გაც“ და „გაიმ“.

აზონს, თითქოსდა საფრთხე არსაიდან ემუქრებოდა, მაგრამ ზესთა გამრიგემ სხვაგვარად განსაჯა. მოკლული მამასახლისის სამარას ძმას სამი წლის ვაჟი დარჩა სახელად ფარნავაზი. შეშინებულმა დედამ, დაობლებული შვილი მთიულეთში გახიზნა და იქაურებს გამოაზრდევინა. გავიდა დრო და ფარნავაზი დედასთან ერთად მცხეთას, საკუთარ მამულს დაუბრუნდა. იგი დიდებული ვაჟკაცი და გამოჩენილი მონადირე დადგა. აღმოჩნდა, რომ ნადირობა დიდად ჰყვარებია თვითონ სისხლისმსმელ აზონსაც, რის გამოც ფარნავაზი დაიახლოვა და დაიმეგობრა კიდეც.

ლეგენდა გვაუწყებს, რომ ერთხელ თურმე ფარნავაზმა სიზმრად მზის სხივი იხილა. სხივი ჭაბუკს გარს შემოერტყა და ლაბირინთიდან, ანუ ჩაკეტილი სივრციდან გაიყვანა, მერე კი საკუთარი ცვარ-ნამით პირის დაბანის უფლება მისცა. გაკვირვებულმა ყმაწვილმა სიზმარი დედას უამბო და თვითონ მარტოდმარტო სანადიროდ გაემგზავრა.

დიღმის ველზე ფარნავაზი ირმის ჯოგს გადააწყდა. მონადირემ ცხენი ააჩქარა, მშვილდ-ისარი გამართა და გაფრენილ ირმებს ისარი დაადევნა. ერთი ირემი დაიჭრა, მაგრამ არ შეჩერებულა, საღამომდე ირბინა და ბოლოს სისხლდენისაგან ღონემილეულმა კლდის ძირას ჩაიმუხლა. არც მხედარი მოეშვა, დაჭრილ ცხოველს ბოლომდე მისდია, ცხენიდან ჩამოხტა და ღონემიხდილ ქორბუდას მკლავი მოხვია.

ასე გაათენეს ღამე, ცხოველმა და ადამიანმა, დილით ფარნავაზი კოკისპირულმა წვიმამ გამოაღვიძა. საჭირო იყო თავშესაფრის მოძებნა. ახალგაზრდამ კლდეს თვალი მოავლო და ერთგან გამოქვაბულის შესასვლელი, ოღონდ ვიღაცის მიერ თითქოსდა ადრევე ამოქოლილი, შენიშნა. დიდი წვალებით ამოყვანილი კედელი მოანგრია და გამოქვაბულში შევიდა. წვიმისაგან თავდაცვა გარანტირებული იყო, თუმცა უფრო მთავარი ამბები მონადირეს, თურმე, წინ ელოდებოდა. გამოქვაბულში უამრავი ოქრო-ვერცხლი აღმოჩნდა. ყმაწვილმა მონადირემ შესასვლელი კვლავ ამოქოლა და მცხეთისაკენ გაეშურა, სადაც დედა და სამი და ელოდებოდა.

ხუთი ღამის განმავლობაში საიდუმლოდ ეზიდებოდა ეს ხუთეული ზეცით ნაბოძებ ოქრო-ვერცხლს, რათა უფრო საიმედო ადგილას შეენახათ იგი... საინტერესო ამბებიც სწორედ ამის შემდეგ დაიწყო...

ფარნავაზმა ერთგული კაცი შეარჩია და ეგრისისაკენ აფრინა – იქაური მმართველის ქუჯისათვის თავისი განზრახვის გადასაცემად: „მე ვარ ფარნავაზი, შენი ნათესავი ქართველი, შენებრ ქართლოსის შთამომავალი, აწ მოკვდინებული სამარას ძმისწული. ხელთა მაქვს დიდძალი ხვასტაგი, ოქრო და ვერცხლი. მომეცი ნება მოვიდე შენთან, რამეთუ ვეძმოთ ძმანი ერთურთს, მოვიხმაროთ ხვასტაგი ესე და ერთიანი ძალით შევებათ აზონ ერისთავსა“.

უდიდესი იყო ქუჯის სიხარული და აღფრთოვანება. პასუხმაც არ დააგვიანა: „აღსდექ და მოდი ჩემთან, შევერთდეთ ერთურთსა, ძმაო ჩემო. შევერთდეთ, რამეთუ განიხარონ ყოველთ ქართველთ“.

ფარნავაზსაც ეს უნდოდა. მან დედა და დები იახლა და საიდუმლო გზით კოლხეთს გადავიდა. ჭეშმარიტი კოლხური მასპინძლობით მიიღო ქუჯი ერისთავმა მცხეთელი სტუმრები, მტკიცე ფიცით შეეკრა იგი ფარნავაზს და გასაოცარი სიტყვები წარმოთქვა: „თავი და თავი ქართლოსიანნი აღმოსავლეთ ქართველები არიან, ამიტომ შენ გმართებს უფლობა ჩვენი. ახლა წადი, ნუ დაიშურებ ხვასტაგსა შენსა და ამრავლე ლაშქარი; და შემდგომაც, თუ ღვთის შეწევნით გავიმარჯვებთ, კვლავ შენ იქნები უფალი ჩვენი, ხოლო მე ქვეშევრდომი შენი“.

პირდაპირ საოცარია, რა გონიერებასთან, რა ჭკუასთან, შორი ჰორიზონტების ხილვასთან გვაქვს საქმე. ამის გაკეთება დღესაც კი ათასნაირი დიპლომითა და ცოდნით, ათასგვარი ინფორმაციით აღჭურვილ მოაზროვნე მეცნიერებში, ხელოვანთა წრეში თუ სხვა საზოგადოებაში, მხოლოდ თითოოროლა ადამიანს შეუძლია.

ამგვარმა ერთობამ შედეგიც გამოიღო. ფარნავაზმა შეჰყარა აღმოსავლეთი და დასავლეთი, კავკასიონის ვიწრობებიდან იხმო ოვსნი და ლეკნი, წინასწარ განხეთქილება შეიტანა აზონის ბანაკში და საქმე ისე წაიყვანა, რომ გამოცდილმა პონტოელმა სარდალმა გაერთიანებული ძალების წინააღმდეგ გამოსვლაც ვერ გაბედა.

მან მიატოვა მცხეთა და კლარჯეთში გადავიდა. გაერთიანებულმა სარდლობამ არც აქ მოასვენა აზონი. ფარნავაზმა ძღვენი გაუგზავნა სირიის მაშინდელ მეფე ანტიოქე I სოტერს და დახმარება სთხოვა. გახარებულმა მეფემ ფარნავაზს „შვილი“ უწოდა, გვირგვინი გამოუგზავნა და ჯარიც მიაშველა.

ფარნავაზი, ქუჯი და ნაწვევი ლაშქარი არტანუჯისაკენ დაიძრა. აზონმაც მიიღო ახალი შევსება პონტოდან. გაიმართა გადამწყვეტი ბრძოლა, სადაც აზონის სამხედრო ძალებიდან ქვა-ქვაზე აღარ დარჩა. თვითონაც ომში დაიღუპა, ლაშქრის უდიდესი ნაწილი განადგურდა, დანარჩენი კი ტყვედ ჩავარდა.

კლარჯეთი თავისი ცენტრით არტანუჯით დედა-სამშობლოს დაუბრუნდა, ხოლო ფარნავაზი, ქართველთა პირველი გამაერთიანებელი, ფარნავაზიანთა სამეფო დინასტიის ფუძემდებლად გამოცხადდა.

ეს ამბავი ისტორიკოსების დაკვირვებით IV-III ს-ის მიჯნაზე, კერძოდ ჩვენამდე 2400-2300 წლის წინ უნდა მომხდარიყო.

რა დასკვნა შეიძლება გამოვიტანოთ აღნიშნული ამბებიდან დღეს ჩვენ, თანამედროვე ქართველებმა? უპირველეს ყოვლისა კარგად უნდა დავფიქრდეთ იმაზე, რომ ცისქვეშეთში, ჩვენ, ქართველებს, სხვა დიდი პატრონი, გულშემატკივარი და მფარველნათესავი ერები არ გვყავს. ეს იცოდნენ წინაპრებმა და კარგად ესმოდათ, რომ თუ ერთად არ ვიქნებოდით, თუ შინაშლილობით ერთმანეთს დავასუსტებდით, ამით საერთო მტერს გავახარებდით და ხელსაც შევუწყობდით ჩვენსავე წინააღმდეგ ბრძოლაში. ერთად ყოფნით კი ტოლს არავის დავუდებდით.

ახლა, ერთი წუთით დავუშვათ, რომ ყველაფერი, რაც ზემოთ ითქვა არც არასოდეს მომხდარა და საქმე გვაქვს ვიღაცის მიერ შეთხზულ ლეგენდასთან. ასეც რომ იყოს, ხომ ფაქტია, რომ ყველაფერი უაღრესად ჭკვიანურადაა შეთხზული იმ ადამიანების მიერ, რომლებსაც კარგად ესმოდათ თუ საით უნდა იაროს ქართულმა სახელმწიფოებრიობამ, ქართულმა ცნობიერებამ და საღმა აზრმა.

ამ, თუნდაც ლეგენდას, ისტორიის ფურცლები და მეხსიერება ვერ შემოინახავდა თუ მას მიმდევრები არ ეყოლებოდა. აი, სწორედ ამგვარი მიმდევრობა და ნათესაობრივი ერთობა ჩანს ქართულ სიმღერაში, ლექსსა და ცეკვაში... ნათქვამის დასადასტურებლად ამჯერად სხვა მაგალითი მოვიყვანოთ, თანაც ხელოვნების შედარებით შორეული სფეროდან.

ჩათავდა ახალი წელთაღრიცხვის სამი საუკუნე. მიილია IV საუკუნის პირველი მესამედიც და საქართველოში ახალი ერა დაიწყო – ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა. ეს უდიდესი მნიშვნელობის ისტორიული მოვლენა იყო, რადგან ქვეყანა ისევ იმ ისტორიულ საზღვრებში რჩებოდა, ინარჩუნებდა კავშირს წინა აზიის სახელმწიფოებთან, ამასთან მისი ინტერესების სფეროში ახალი, თუმცა უკვე გაქრისტიანებული ბიზანტია, სირია, პალესტინა, სომხეთი და მცირე აზიის პატარ-პატარა ქვეყნები შემოდიოდა.

ამის შედეგი იყო, რომ წმინდა სინას მთას, ღაზას, მაიუმის უდაბნოებს, ბიზანტიის, სირიისა თუ პალესტინის სასწავლო კერებს უამრავმა ქართველმა მოაზროვნემ მიაშურა.

დაიწყო დიდი მთარგმნელობითი მუშაობა და უკვე ნათელი გახდა, რომ დადგა დრო საქართველოს სხვადასხვა კუთხეში აეშენებინათ ისეთივე ეკლესია-მონასტრები, როგორიც ეს მახლობელ აღმოსავლეთსა თუ ბიზანტიის ქალაქებში იყო მიღებული.

იმდროინდელ საქრისტიანოში სამლოცველოდ გამოსაყენებელი ორი ტიპის არქიტექტურული ნაგებობა იყო ცნობილი. ესაა წაგრძელებული ფორმის უგუმბათო შენობა-ბაზილიკა და გუმბათიანი ნაგებობა, რომლის დანახვისას თქვენ თვალწინ ჯვრის ფორმა იშლება. ამიტომ მას ხშირად ჯვარ-გუმბათოვან ეკლესიას უწოდებენ.

საქართველოში დაიწყო ყველაზე სასურველი, ყველაზე მისაღები ფორმის ეკლესიის ტიპის ძიება და ეს ძიების პროცესი 2-3 საუკუნე გაგრძელდა.

მართალია ქართულ ეკლესიას, სამეფო კარსა და ხალხს საბოლოო ჯამში არც ბაზილიკა დაუწუნებია და არც გუმბათიანი არქიტექტურა, თუმცა თითოეულ მათგანს მისთვის სასურველი, ყველაზე დახვეწილი სახე მისცა. ბაზილიკათა შორის ამ მხრივ სამაგალითოა ბოლნისის სიონი (V ს.), ხოლო ჯვარ-გუმბათოვანი არქიტექტურის შედევრია მცხეთის ჯვარი (584-604 წწ.).

აი, სწორედ ამ უკანასკნელის შესახებ მინდა მოგითხროთ შედარებით დაწვრილებით და მის მაგალითზე ვაჩვენოთ, თუ როგორი კულტურული ერთიანობა სუფევს აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ცალკეულ კუთხეებში.

ქრისტიანობის მიღების პირველსავე წლებში, მირიან მეფის მითითებით, მცხეთის მოპირდაპირე მხარეს, მთის წვერზე აღუმართავთ

5 ბ3 >

ქართული ქორეოფოლკლორული ხელოვნების ზეიმი

რედაქტორის გვერდი

ოლეგ ალავიძე

ძვირფასო მკითხველო!

ჩვენს შორის არსებული სიტყვიერი შეთანხმების მიხედვით, გაზეთის დღევანდელი ნომრის სარედაქტორო გვერდზე, საუბარი უნდა გაგვეგრძელებინა ქართულ ქორეოფოლკლორში XX ს-ის 20-იან წლებამდე შემოჭრილი მინარევების, ამ გზით გაჩენილი აღრევებისა და მისი მავნე ზემოქმედების საკითხთა ირგვლივ.

ჩემის მხრიდან მე, პირადად, მზად ვიყავი დადებული პირობის შესასრულებლად, მაგრამ, როგორც ეტყობა, სიტუაცია სხვაგვარად ვითარდება. ჯერ ერთი, რომ ახალი, 2016 წელი კარს მოგვადგა და ახლა კრიტიკული პათოსით დამძიმებული წერილების წასაკითხად, ალბათ ვერავინ მოიცლის და მეორეც, ამ დღეებში, თბილისის დიდ საკონცერტო დარბაზში, ისეთი დიდი მასშტაბის ქორეოკულტურული ზეიმი შედგა, რომ მის შესახებ აუცილებლად უნდა ითქვას და თანაც, რაც შეიძლება დაწვრილებით და საქმიანად.

მოდით, სავალი გზის პირველ აღმართს შევბედოთ და ვნახოთ, რა გამოგვივა.

12 დეკემბერს, თბილისის დიდი საკონცერტო დარბაზის წინ, ქართული კულტურის უდიდეს მოღვაწეთა რიგს, შემოქმედებითი საქმიანობის 65-ე წლისთავის აღსანიშნავად, გამოჩენილი მოცეკვავისა და ქორეოლოგის, პროფესორ **რეზო ჭანიშვილის** სახელობის ვარსკვლავი შეემატა.

ბატონი რეზოს დამსახურებებისა თუ რეგალიების ჩამოთვლას საკმაოდ დიდი დრო და საგაზეთო სივრცე ესაჭიროება. ამიტომაც ძალიან მოკლედ უნდა ვთქვათ:

იგი საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწეა, არის პროფესორი ემერეტუსის აკადემიური წოდებით, მინიჭებული აქვს წმ. ექვთიმე თაყაიშვილის მედალი და ღირსების ორდენი, დაჯილდოებულია „მადლიერების მედლით“, „ქართული კულტურის ამაგდარის“, „ქართული ქორეოგრაფიის რაინდის“ და „ქართული კულტურის დესპანის“ მედლებით; არის მსოფლიო ახალგაზრდობისა და სტუდენტთა მერვე ფესტივალის ლაურეატი. რეზო ჭანიშვილი არჩეულია სხვადასხვა ქალაქების საპატიო მოქალაქედ. მის სახელს ამ დროისათვის ატარებს რამდენიმე საბავშვო და ახალგაზრდული ქორეოგრაფიული ანსამბლი. ბატონ რეზოს დაარსებული აქვს ქუთაისის ხალხური ცეკვის სახელმწიფო სკოლა-სტუდია, ქუთაისის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი (ბატონ ჯემალ ჭკუასელთან ერთად), ასევე საბავშვო ქორეოგრაფიული ანსამბლი „მერანი“. იგი კონსულტანტის რანგში ხელმძღვანელობდა სირიის ცეკვის სახელმწიფო ანსამბლს ქალაქ დამასკოში...

დღეისათვის ბატონი რეზო ხელმძღვანელობს საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებით კავშირს. მას გამოცემული აქვს რამდენიმე მონოგრაფია, ასევე ათობით საჟურნალო და საგაზეთო სტატია.

აუცილებელია იმის აღნიშვნა, რომ დიდ საკონცერტო დარბაზში გამართულ ღონისძიებას წინ ორი მნიშვნელოვანი მოვლენა უძღოდა. 5 დეკემბერს ა. გრიბოედოვის სახელმწიფო რუსული დრამატული თეატრის სცენა შეავსეს საბავშვო ქორეოგრაფიულმა კოლექტივებმა და თავიანთი შემოქმედებით გულწრფელად მიულოცეს ბატონ რეზოს ზემოაღნიშნული თარიღი. 11 დეკემბერს კი თბილისის მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეში გაიმართა ბატონი რეზოს მიერ შექმნილი ენციკლოპედიური წიგნის „ქართული ცეკვის საგიდებელის“ მეორე გამოცემისა და პირადად ბატონი რეზოსადმი მიძღვნილი გამოკვლევის „რეზო ჭანიშვილის“ პრეზენტაცია. ყველაფერი, რისი თქმაც ამჯერად შევძელით და ისიც, რაც არ თქმულა, გვაძლევს სრულ საფუძველს ვამტკიცოთ, რომ სახელობითი ვარსკვლავი სრულიად სამართლიანად გაუხსნეს პიროვნებას, ვინც ამას იმსახურებდა და იმსახურებს, აღნიშნული სიტყვების საუკეთესო გაგებით.

საკითხის ამგვარ ნიუანსს ჩვენ იმიტომ ვუსვამთ ხაზს, რომ ჯილდო-დამსახურებების და მისი საქვეყნოდ აღნიშვნის, მათ შორის სახელობითი ვარსკვლავის გახსნის ტრადიცია ჩვენში მავანთათვის საკამათო თემად იქცა და ზოგ შემთხვევებში გარკვეულ მითქმა-მოთქმასაც წარმოშობს. თავისთავად აღნიშნულ მოვლენაში გასაკვირი არც არაფერია, რადგან ცხოვრებაში, როგორც წესი, ამბიციური, კრიტიკულ თვითშეფასებას მოკლებული ხალხი მუდამ ბევრი იყო. ასეთები კი, როგორც ცნობილია ამბიციის ნაკლებობასა და პრეტენზიულობის მაჩვენებლების სიმწირეს არასოდეს განიცდიან. სწორედ ამის გამო ისინი გაუთავებლად ითხოვენ აღიარებას, უწყვეტ შექებასა და ჯილდო-პრემიებს. ამ კატეგორიის ხალხის რაოდენობა, როგორც ყველაფრიდან ჩანს, სამომავლოდ კიდევ უფრო მოიმატებს და არც მათი მოთხოვნების მოგერიება იქნება იოლი საქმე.

ბედნიერებაა, როდესაც საქმე მოცემულ შემთხვევაში ამ კატეგორიის მოვლენასთან არ გვაქვს, არც რაიმე ეჭვის საფუძველი არსებობს და საზოგადოებაც ღირსეულ პატივს მიაგებს პიროვნებას, ვისი დამსახურებების ჩამონათვალი მართლაც რომ სახეზეა. მადლიერების გრძნობით უნდა ითქვას, რომ „საქართველოს კულტურის პალატამ“, ვის უშუალო საფიქრალსაც წარმოადგენს ამ ტიპის გადაწყვეტილებების მიღება, ღირსეულად აღასრულა მასზე დაკისრებული სახელმწიფოებრივი განჩინების მოთხოვნები. მადლობა მას ამისათვის.

* * *

წინამდებარე წერილი მარტო იმისათვის არ დაწერილა, რომ პოტენციური მკითხველისათვის კიდევ ერთხელ შეგვეხსენებინა, ან კიდევ, უბრალოდ, მოგვეთხრო იმ დამსახურებათა შესახებ, რომელიც ბატონი რეზო ჭანიშვილის სახელთან არის დაკავშირებული. თუმცა, კაცმა რომ თქვას, არც ამგვარი განზრახვა იქნებოდა უგუნურება და დასაძრახისი მოვლენა, რადგან თავის საქმით კეთილსინდისიერად დაკავებულ ჭეშმარიტ შემოქმედს ყველა დროსა თუ ეპოქაში ესაჭიროებოდა გვერდში ამოდგომა, ყურადღება და შეძლებისდაგვარად ხელის შეშველებაც. ასე იყო ძველად, ასეა დღესაც და როგორც ეტყობა, ასევე იქნება მომავალშიც.

განა მრავლისმეტყველი არ არის ის ფაქტი, რომ რეალურ დროსა და რეალურ ცხოვრებაში ჯერაც არავის უხილავს მდიდარი, მონაგარით განცხრომაში შესული ცხოვრებისეული პრობლემების წნეხისაგან გათავისუფლებული ხელოვანი. ასეთებად, როგორც არ უნდა გაგვიკვირდეს, მხოლოდ შოუკულტურულ ღრიანცელში გამოწრთობილი ე.წ. „ცნობადი სახეები“ იქცნენ, თუმცა უმეტეს მათგანს, ჭეშმარიტ ესთეტიკურ სიმაღლეებთან ახლოს არასოდეს ჩაუვლია. თუმცა, ეს ყველაფერი ამჯერად, როგორც იტყვიან, ლირიკული ჩანართის სახით.

ახლა კი კვლავ „პირველსავე სიტყვას მოვიდეთ“ და თბილისის დიდი საკონცერტო დარბაზის კედლებში გამართული ღონისძიების ერთ, ჩვენის აზრით მნიშვნელოვან ასპექტს შევეხოთ.

საკონცერტო საქმიანობის ბოლოდროინდელ ისტორიაში ვერავინ იხსენებს შემთხვევას, რომ ერთ სცენაზე, ერთ დღეს, ერთი ღონისძიების ფარგლებში მაყურებლის წინაშე ცოცხალი შემოქმედებითი სახით წარმდგარიყოს ქვეყნის მასშტაბით მოღვაწე თითქმის ყველა სახელმწიფო, სახელმწიფო აკადემიური, მუნიციპალური და მაღალ შემოქმედებით რანგს მიკუთვნებული სტუდენტური ანსამბლები. აი, სწორედ ამ დონის თუ შემოქმედებითი სახის ანსამბლებმა მოულოცეს იმ დღეს სახელობითი ვარსკვლავის გახსნა ბატონ რეზო ჭანიშვილს.

ნათქვამის ჭეშმარიტებაში ვერავინ დაეჭვდება, თუკი ერთხელ კიდევ გადახე-

4 ბ3

< 3 გვ

დავთ კონცერტის მონაწილე კოლექტივების სიას. მართალი გითხრათ, არც კი ვიცი საიდან დავიწყო: სახელგანთქმული „სუხიშვილები“, დიდებული აკადემიური ანსამბლები „ერისიონი“ და „რუსთავი“, აჭარის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი. არ შეიძლება იმის არდანახვა, რომ საქართველოს ამ

ძირძველმა კუთხემ, ღონისძიებაში მონაწილეობის მისაღებად მოავლინა ზემოაღნიშნულის გარდა კიდევ ორი ანსამბლი: ბათუმის მერიის კულტურის ცენტრთან არსებული სახელმწიფო ქორეოგრაფიული ანსამბლი „ბათუმი“ და ხალხური ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი „ხორუმი“; აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი, სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციასთან არსებული სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი „ნართები“, ქართული ლეგენდა „სამაია“, ქ. ქუთაისის ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი; ბრწყინ-

ვალე სტუდენტური ანსამბლები: ქუთაისის აკ. წერეთლის ეროვნული უნივერსიტეტიდან „კოლხა“, საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტიდან „სეუ“, თბილისის შ. რუსთაველის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტიდან „როკვა“; საღამო დაამშვენა სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლ „რუსთავის“ მომღერალთა ჯგუფმა.

სამწუხაროდ, დრო და გარემოებები ამ მიმართულებით უფრო მეტის გაკეთების საშუალებას არ იძლეოდა, თორემ თბილისის საკონცერტო დარბაზის სცენაზე გამოსვლის მსურველი რეალურად ბევრად მეტი იყო. ბუნებრივია, ზემოთ ჩამოთვლილ კოლექტივთაგან ყველა სათანადო მასშტაბითა და ძალით არ იყო წარმოდგენილი, რადგან ჩვენს დინამიურ ეპოქაში, ბევრი ანსამბლის ძირითადი დასი საგასტროლო მოგზაურობაში იმყოფება, რაც, თავისთავად, ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტი და მისასალმებელი მოვლენაა.

თბილისის საკონცერტო დარბაზის მაყურებელი აღფრთოვანებას ვერ მალავდა, როდესაც სცენაზე იხილეს „სუხიშვილების“ მიერ წარმოდგენილი ორიგინალური „ილოური“, რუსთავის მოცეკვავეთა დასის წამყვანი ოსტატების მხრიდან ცეცხლოვან გრიგალად წარმოდგენილი „მოხევური“; „ერისიონის“ მოცეკვავეთა მიერ შესრულებული „აფხაზური“, აჭარის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლის „აჭარული“, ბათუმის მერიის კულტურის ცენტრთან არსებული ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის „იმერხევული“, აჭარის ხალხური ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის „საგანძური“, აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის „აფხაზური“, ანსამბლ „როკვას“ „რაჭული სუიტა“, ქუთაისის სტუდენტურ ანსამბლ „კოლხას“, „მოხევური“, „სეუ“-ს მიერ წარმოდგენილი „კავკასიური მოტივები“, ქუთაისის სახელმწიფო ანსამბლის „ხორუმი“.

ბატონი დიმა ჯაიანის მიერ წაკითხული პოეტური შედევრი, ჭანიშვილების გვარის ტრადიციის გამგრძელებელი უმწრმესი „მექართულის“ ლუკა ჭანიშვილისა და მისი მეწყვილის „ქართული“, „რუსთავის“ მომღერალთა დიდებული „მრავალჟამიერი“...

კონცერტის ორგანიზატორი ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებითი კავშირის ცენტრალური ოფისის წარმომადგენელთა გულწრფელი აღტაცება გამოიწვია სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციასთან არსებული სახელმწიფო ანსამბლისა და პირადად მისი უბერებელი ხელმძღვანელის, ბატონი ომარ ხუბაევის სცენაზე გამოჩენამ. თვით საორგანიზაციო ჯგუფმა და კავშირის ხელმძღვანელობამაც კი არ ვიცოდით ღირსეულ და სოლიდურ ასაკში მყოფი ბატონი ომარი, პირადად რომ აპირებდა ერთ-ერთი ძირითადი სოლო-პარტიის შესრულებას „სიმდის“ სასცენოდ წარმოდგენილ ვარიანტში. რაოდენ დიდი იყო ყველას გაკვირვება და აღტაცება, როდესაც სცენაზე ვიხილეთ „სრულ ცერზე“ მდგომი საოცრად ელეგანტური, ძველი, სახელგანთქმული „სუხიშვილელი“ ომარ ხუბაევი! ეს იყო ჭეშმარიტი „მასტერ-კლასი“, რომელიც იმ საღამოს ცეკვის მოყვარულმა ახალგაზრდობამ გაიარა, დარბაზს კი უდიდესი ესთეტიკური სიამოვნება მიანიჭა.

საბოლოო ჯამში კონცერტი ისეთი მაღალი რანგისა გამოდგა, რომ მიუხედავად აქა-იქ თავნაჩენი ხარვეზებისა, მონაწილეთა შესახებ უფრო ხელშესახები საუბრის, ქორეოგრაფიული ნააზრევის, მისი მუსიკალური გაფორმებისა თუ ტანთჩაცმულობის უფრო „ახლოით განჩხრეკვის“ საჭიროება ამჯერად ნამდვილად არ არსებობს.

დასკვნის სახით კი შეიძლება ითქვას: ხელოვნების, ქართული კულტურის უდიდესი ზეიმი მართლაც რომ შედგა! ეს ის მომენტია, ის ბედნიერებაა, რომლისთვისაც სიცოცხლე, შრომა და გარჯა ნამდვილად ღირს!

დასასრულს ალბათ იმის თქმაც აუცილებელია, რომ საიუბილეო, „ვარსკვლავური საღამო“ დაამშვენეს მრავალრიცხოვანმა მაყურებელმა, დილის კონცერტის მონაწილე საბავშვო და ახალგაზრდულმა ანსამბლებმა, მათმა ქორეოგრაფ-პედაგოგებმა, მუსიკოს-შემსრულებლებმა და, რაღა თქმა უნდა, სტუმრებმა. ბატონ რეზოს შემოქმედებითი წარმატებები და ცხოვრებისეული მიღწევები მიულოცეს საგანგებოდ ამ ღონისძიებისათვის ჩამოსულმა დელეგაციებმა ქალაქ მოსკოვიდან და სომხეთის ქორეოგრაფთა კავშირიდან, საქართველოს ქალაქებისა და მუნიციპალიტეტების გამგებლებმა და მერებმა, უმაღლესი სასწავლებლების ხელმძღვანელებმა (ბატონი გ. ღავთაძე - ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, გ. კავთელიშვილი - საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის რექტორი).

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მოადგილემ ქალბატონმა **მანანა ბერიკაშვილმა** გაახმოვანა სამინისტროს გადაწყვეტილება, რომლის საფუძველზეც ბატონ რეზოს მიენიჭა „**ხელოვნების ქურუმის**“ წოდება. საპატიო მოქალაქეობის ჩამონათვალს დაემატა ქალაქები **ლანჩხუთი** და **ქობულეთი**, ქუთაისის აკ. წერეთლის სახელობის სახელმწიფო და საქართველოს ეროვნულმა უნივერსიტეტებმა ბატონი რეზო ჭანიშვილი აირჩიეს **საპატიო დოქტორად**.

შეიძლება თამამად ითქვას, რომ ღონისძიების საერთო პათოსმა, რომელიც ლოგიკურად დააგვირგვინა ვარსკვლავის გახსნამ და საზეიმო ფოიერვერკებმა ერთი მნიშვნელოვანი, თუმცა ჩვენი

„შიდა სამზარეულოსთვის“ ყურადსაღები ფაქტიც გამოავლინა და დაადასტურა. კერძოდ – საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებითი კავშირი, რომელიც ბატონი რეზოს თავკაცობით ბოლო 5 წლის მანძილზე, როგორც ჩანს, სწორ გზაზე დგას და არც თუ ურიგოდ საქმიანობს. ჩვენ ერთის წუთითაც არ ვუშვებთ, რომ ამგვარი დასკვნა, თითქოს რაიმე თვითკმაყოფილების საფუძველს ქმნიდეს. ცხადია არა, რადგან, როდესაც განვლილ პერიოდს ვაჯამებთ (ეს კი სრული სახით უახლოეს პერიოდში, საგანგებო ყრილობაზე მოხდება), იმდენ პრობლემას, იმდენ გასაკეთებელ საქმეს ვხედავთ, ბევრი ალბათ, როგორც ასეთ დროს იტყვიან, ყურებსაც კი ჩამოყრიდა. მაგრამ, ისიც კარგად გვესმის, რომ ამის დაშვება არ შეიძლება. ჩვენს უკან, ხომ მრავალსაუკუნოვანი ქორეოკულტურული მემკვიდრეობა დგას. ეს ის სიმდიდრეა, რომელსაც დღეს ისეთი მტერ-მოყვარენიც კი დასტრიალებენ, ვინც ორგანიზებულ სასცენო-საცეკვაო კულტურას საბჭოთა სახელოვნებო ოლიმპიადების ეპოქაში გაეცნო და ვისაც ცეკვის სასცენო ანბანს საქართველოს „შემოქმედებით მივლინებაში“ მყოფი ქორეოგრაფები აცნობდნენ.

თუმცა, ეს უკვე სხვა საუბრის თემაა... ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებითი კავშირი კვლავაც რჩება ამ ინიციატივისა და პათოსის ერთგული, რომელიც ამ ცოტა ხნის წინ გახმოვანდა გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ გვერდებზე და რომელსაც მხარდამჭერები უკვე გამოუჩნდნენ...

ოლეგ ალავიძე,
ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებითი კავშირის თავმჯდომარის მოადგილე, პროფესორი

ქართული ცეკვის ფენომენი და მისი როლი მოსწავლე ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში

ქართული ცეკვის გენიალურობა, უდაოდ ეროვნული კულტურის განმსაზღვრელი ფენომენია. არ შეიძლება ცალკე ილაპარაკო ქართულ ცეკვაზე და მასთან ერთად არ მოიაზრო ქართული სიმღერა და საგალობელი... სულის შემგუბებელი ქართული ჩუქურთმა, ხალხური მუსიკა, ეკლესიების მოხატული კედლები, ანდა საქართველოს ულამაზესი ბუნება, მართლაც რომ უფლისგან ბოძებული სიმდიდრეა, სიმდიდრეა, რომელსაც საუკუნეების მანძილზე უამრავი ქარტეხილები გამოუვლია.

უძველესმა ქართველმა ერმა, დღევანდლამდე მოიტანა იგი ჩვენდა საპატრონოდ, ჩვენ კი შეუძლებელი უნდა შევძლოთ, ერთად დავდგეთ, ზავი შევკრათ და დავიცვათ მამაპაპათა მონაპოვარი და უფლით ბოძებული.

მოსწავლე ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში უდაოდ დიდ როლს ასრულებს ქართული ცეკვა და თუ ძირფესვიანად გავაანალიზებთ ქართული ცეკვის რაობას, სიღრმისეულად შევეცდებით მის გააზრებას და ახსნას, დავინახავთ, რომ თვითონ ქართული საცეკვაო ფენომენი ქმნის მოსწავლეთა თვითაღზრდას მისი ტრადიციულ-ისტორიული შინაარსით. რაში გამოიხატება ის?

ტრადიციულად, ისტორიულად, კულტურულად ქალისა და მამაკაცის დამოკიდებულება ქვეცნობიერად მოგვდგამს, ანუ რაც სხვა ერებისათვის, განსაკუთრებით დასავლეთის ქვეყნების მაცხოვრებლებისათვის ასახსნელი და შესასწავლია, ქართველებს ეს გენეტიკით მოგვდგამს, ჩვენს ბუნებაშია. ეს არის ზუსტად ის სილამაზე, სანახაობა, რამაც ასე მოხიბლა საზღვარგარეთის მილიონობით მაყურებელი, ვინც კი იხილა მისი სიდიადე, მოკრძალება, თავშეკავება, სინაზე, მამაკაცთა რაინდული თვისებები, ვაჟკაცობა, ტემპერამენტი და მაინც ზომიერება. აი ეს არის ის დიდი ძალა, რაც ასე ძალიან გვაყვარებს და ჩვენად ხდის ამ ულამაზეს ქართულ საცეკვაო ხელოვნებას, რომელშიც უხვად არის წარმოდგენილი ის შემეცნებითი კომპონენტები, რომელსაც ჯანსაღი თაობების აღზრდის საქმეში დიდი ადგილი უკავია.

ყველა ის ეროვნული მახასიათებელი თვისებები, ეროვნული, კოდირებული მუხტი, რაც კი გააჩნია ჩვენს ერს, ყველაფერი ეს დევს ქართულ ცეკვაში, ამ ულამაზესი ქართული პლასტიკის ხელოვნებაში, რომელიც დადებით როლს თამაშობს მოსწავლე-ახალგაზრდობის აღზრდის მეტად საჭირო საქმეში.

გავუფრთხილდეთ ამ საგანძურს, საუნჯეს, გავუფრთხილდეთ და ვუპატრონოთ, ვიდრე თვალსა და ხელს შუა არ დაგვიკარგავს მისი ავთენტურობა, ხალხურობა და ბუნებრიობა.

იური ტორაძე,
კავშირის თავმჯდომარის მოადგილე

მესტვირის სადღეგრძელო

მადლობელი ვარ უფალო, სიბერე შენით მეღირსა,
გავიგე ავი და კარგი კაცის, ქალის და... ქვეყნისა;
ვისწავლე ენა ბუნების, ნადირ-ფრინველის, მთებისა,
ვიგრძენი სითბო, სიცივე მამაპაპური კერისა.
ვიცი ტკივილი საერთო, ქალაქის, სოფლის, თემისა;
მიყვარს წიწვი და ფოთოლი ხეზე სხვადასხვა ფერისა,
დაყვავილება ვაზისა, ატმის, ვაშლის და ლეღვისა;
ტირიფის ცრემლები მიყვარს და საუბარი ღელისა.
მთაში ნადირი მახარებს, რითნში როკვა თევზისა,
ყურძნის დაკრეფვა, დაწურვა და ჩამაჭრება ყელისა,
ლაღობა, კაფიაობა, სიტყვა თამადის ერთისა,
ღვინის დასხმა და დალევა, მოხსენიება ღმერთისა.
რა სჯობს, თუ სუფრას შევამკობთ სიმღერითა და ცეკვითა,
თუ ქალიც გვერდს დაგვიმშვენებს, დავტკბებით მისი ცქერითა;
ძმაკაცს თუ ძმურად ვძმაკაცობთ და არა კუდის ქნევითა,
გულზე თუ ვხეთქავთ ფარულ მტერს, ჩვენი კაცური ქცევითა!
მაშ, გაუმარჯოს სიცოცხლეს, მიწა ხარობდეს ზეცითა!
ღმერთო, ნუ გაგვებუტები, და ნუ დაგვისვამ წერტილსა,
ბევრი შეცდომა დავუშვით გონის, ტვინის და ენისა...
ვერ მივხვდით, ვეღარ გავმიფრეთ ვირეშმაკობა მტერისა.
სოფელი მთლად დავივიწყეთ, ვიხსენებთ კრულვა-წყევლითა,
ზოგმა საამშობლოც დატოვა უკეთესობის ძებნითა;
ზოგი ნარკოტიკს გადაჰყვა, - მაგინებელი დედისა!
ზოგი ურწმუნო გამოდგა - შემარცხვენელი გენისა!
ზოგიც ლოთობს და ნებივრობს, სხვა გზა ვერ ნახა შვებისა;
ზოგმა სიმდიდრე დაირტყა, სანაცვლოდ ერთგულებისა.
ზოგს შხამი დაჰყვა ჯიგარში, ჭრელი გიურზა გველისა,
ვინც დავრჩით, მამულს დავიცავთ, უმრავლესობის ნებითა!..
სხვა ქვეყნად მცხოვრებ ქართველებს აქედან გაწვდით ხმასათ:
თუ ერთურთს შევეხიდებით, ვერავინ გვიზამს ძვრასათ;
უნდა გავუძლოთ ამ სიზმარს, ყოფნა-არყოფნის ქარსათ,
მოვა ახალი თაობა, გაარჩევს ცუდს და კარგსათ!
დღეს იარაღი არ გაჭრის, ჭკუა სჯობია ხმალსათ;
მტერს მტრულად გავცეთ პასუხი, რომ გვახვევიან გარსათ;
ქონებას ნუ დავხარბდებით, ნუ გავიყიდით თავსათ,
სამშობლოს თუკი სჭირდება, დავეგერდეთ მინდვრის ფხალსათ!
შვილებს და შვილიშვილებსაც ნუ დავამადლით წვრთნასათ;
ზოგჯერ თქმა უსწრებს საქმეს და, ზოგჯერ საქმე სჯობს თქმასათ,
თუ გახაფხულზე არ დავხნავთ, როგორ ვაპირებთ მკასათ?!
თუ ერთი პირი გვექნება, გვერდზე გადავდგამთ მთასათ!
ღვთისშობლის ქვეყნის შვილებო, ნაქებო ჭირთა თმენითა!..
წინაპრებს უნდა მივბაძოთ სიდარბაისლით, ხედვითა!..
გავიძლიერთთ თვალს ჩინი, მზისა და მთვარის ცქერითა,
ღმერთმა მამული გვიცოცხლოს, დიდება ჩვენი ერისა!

რეზო რაჭველი 2015 წ.

< 2 33

ხის დიდი ჯვარი, რომელსაც თაყვანს სცემდა მთელი საქრისტიანო, მათ შორის ქართლში მცხოვრები ან კიდევ საქარავნო გზებზე გამოვლილი სომხური მოსახლეობაც. მას შემდეგ, რაც მლოცველთა რიცხვი ძალიან გაიზარდა, VI ს-ის II ნახევარში ქართლის ერისთავმა გუარამმა ჯვრის გვერდით ააშენა პატარა სწორკუთხა ეკლესია, რომელსაც შიგნით ჯვრის ფორმა ჰქონდა. მას „მცირე ჯვარს“ უწოდებდნენ. გავიდა სულ ცოტა დრო და გაირკვა, რომ ეს ნაგებობა მომსვლელ-მლოცველებს ვეღარ იტევდა, მაშინ გუარამის ძე სტეფანოზ ერისთავმა გადაწყვიტა ჯვრის ფორმის დიდი ზომის გუმბათიანი ტაძრის აგება. მონახეს მართლაც გენიალურად მოაზროვნე ხუროთმოძღვარი და უბრძანეს – აეგო ჯვრის ფორმის გუმბათიანი ტაძარი, რომელიც ზემოდან გადაეხურებოდა ხის ჯვარს და თანაც ეს უკანასკნელი ტაძრის ცენტრში, გუმბათის ქვეშ უნდა მოხვედრილიყო.

ეს სათქმელად კი იოლია, თუმცა გასაკეთებლად თითქმის შეუძლებელი, რადგან ხის ჯვარი ძალიან ახლოს იყო განთავსებული კლდის ქიმზე მცხეთის მხარეს და ის რომ ცენტრში მოთავსებულიყო ტაძრის დასავლეთი ფასადი მთლიანად კლდეზე უნდა გადმოეკიდათ და ფუნდამენტიც ღრმად მიწაში გაეშვათ. იმ დროისათვის, ცხადია, გეოდეზიურ-გეოლოგიური კვლევის ხსენებაც არ იყო და ამიტომ არავინ იცოდა – იქნებ მიწის გრუნტი მცოცავი იყო. ასეთ შემთხვევაში მთელი ტაძარი დაინგრეოდა.

ხუროთმოძღვარმა უხმო მშენებლებს და დასავლეთის ფასადის ამოყვანა იქიდან დაიწყო, სადამდეც კლდე ამის საშუალებას იძლეოდა. როდესაც კედლის სიმაღლე, მთის წვერს გაუსწორდა, ამის მერე არქიტექტორმა დანარჩენი ფასადების კონტურებიც მოხაზა და შესანიშნავი ტაძარიც ააშენა, თუმცა ხის ჯვრის კვარცხლბეკი იდეალურ ადგილზე ანუ სრულიად ცენტრში მაინც ვერ მოახვედრა.

ახლა მინდა გაგახსენოთ, თუ რატომ გიყვებით ამ ამბავს. იმიტომ, რომ მცხეთის ჯვრის მშენებლობის მომენტში კარგად გამოჩნდა, რომ ქართლისა და სრულიად ქართლოსიანთა ქვეყანა დასავლეთშიც და აღმოსავლეთშიც იმ დროისათვის ერთი მიზან-ამოცანების გათვალისწინებით აზროვნებს, ამიტომაც ფარნავაზისა და ქუჯი ერისთავების ზემოთ უკვე აღწერილი საქციელი სრულიადაც არ იყო შემთხვევითი მოვლენა.

მცხეთის ჯვრის გეგმას საფუძვლად უცნობმა ხუროთმოძღვარმა კახეთის, კერძოდ ნინოწმინდის ტაძარში დამუშავებული ჯვრის თემა დაუდო. ამასთან ეს ფორმა მან ბრმად კი არ გადმოიტანა, არამედ გაადიდა, უკეთ გაიაზრა და „მცხეთის ჯვრის“ ჩვენთვის ნაცნობი ფორმა მისცა. ამასთან მოხდა საინტერესო რამ, კერძოდ, იმის გამო, რომ დასავლეთის ფასადი კლდეზე იყო გადმოკიდებული, ხუროთმოძღვარმა უარი თქვა ამ მხრიდან შესასვლელი კარიბჭის დადგმაზე. არადა, ეს არ იყო იოლი გადაწყვეტილება, რადგან ქართულ ქრისტიანულ ტაძრებს მთავარი შესასვლელი სწორედ დასავლეთის მხრიდან უკეთდებათ.

გავიდა დრო და აღნიშნული ტაძრის ავტორიტეტი ისე მასშტაბური გახდა, რომ ყველგან დაიწყო მისი ძირითადი იდეების გამეორება. მაგალითად, ქართლში, გორის სამხრეთით მდ. ტანას ხეობაში აიგო ატენის სიონი. აქ დასავლეთის მხარეს ადგილიც იყო და საშუალებაც გაეჭრათ კარიბჭე, თუმცა მცხეთის ჯვრის გავლენისა და ავტორიტეტის გამო ეს არ გაკეთდა. ასეთივე ტაძარი აშენდა ძველ შუამთაში და, რაც მთავარია, მარტვილში ანუ ეგრისის ტერიტორიაზე (დროთა განმავლობაში დაზიანებული ეს ტაძარი აფხაზთა მეფის გიორგი II-ის დროს, საფუძვლიანად გადაკეთდა, რითაც პირვანდელი ბრწყინვალება დაკარგა).

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ უკვე VII-VIII ს-ისათვის საქართველოს კულტურული მთლიანობის იდეა წინ უსწრებს მის სახელმწიფოებრივ ერთიანობას. თუმცა, როგორც შემდგომში დადასტურდა, არც ეს დრო ყოფილა შორს და ბაგრატ III მეფობის ჟამს ქვეყანა ერთიან სახელმწიფოდ გამოცხადდა.

ოლეგ ალავიძე, *პროფესორი*

შეცდომის გასწორება:

გაზეთ „საქართველოს ქორეოგრაფიის“ სექტემბერ-ოქტომბრის ნომერში (N10(56)), მე-10 გვერდზე გამოქვეყნებულ საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებითი კავშირის დადგენილებაში (N3,1), საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებითი კავშირის საანგარიშო-საარჩევნო VI ყრილობის თარიღის განსაზღვრის შესახებ, გაიპარა ტექნიკური შეცდომა. კერძოდ, მე-2 პუნქტის ჩამონათვალში უნდა ეწეროს:

ზაურ ლაზიშვილი - კავშირის თავმჯდომარის მოადგილე; რედაქცია ბოდიშს იხდის დასანანი ტექნიკური შეცდომის გამო.

იანვარი						
ორ	სამ	ოთხ	ხუთ	პარ	შაბ	კვ
				1	2	3
4	5	6	7	8	9	10
11	12	13	14	15	16	17
18	19	20	21	22	23	24
25	26	27	28	29	30	31

თებერვალი						
ორ	სამ	ოთხ	ხუთ	პარ	შაბ	კვ
1	2	3	4	5	6	7
8	9	10	11	12	13	14
15	16	17	18	19	20	21
22	23	24	25	26	27	28
29						

მარტი						
ორ	სამ	ოთხ	ხუთ	პარ	შაბ	კვ
	1	2	3	4	5	6
7	8	9	10	11	12	13
14	15	16	17	18	19	20
21	22	23	24	25	26	27
28	29	30	31			

აპრილი						
ორ	სამ	ოთხ	ხუთ	პარ	შაბ	კვ
			1	2	3	
4	5	6	7	8	9	10
11	12	13	14	15	16	17
18	19	20	21	22	23	24
25	26	27	28	29	30	

მაისი						
ორ	სამ	ოთხ	ხუთ	პარ	შაბ	კვ
						1
2	3	4	5	6	7	8
9	10	11	12	13	14	15
16	17	18	19	20	21	22
23	24	25	26	27	28	29
30	31					

ივნისი						
ორ	სამ	ოთხ	ხუთ	პარ	შაბ	კვ
	1	2	3	4	5	
6	7	8	9	10	11	12
13	14	15	16	17	18	19
20	21	22	23	24	25	26
27	28	29	30			

ივლისი						
ორ	სამ	ოთხ	ხუთ	პარ	შაბ	კვ
				1	2	3
4	5	6	7	8	9	10
11	12	13	14	15	16	17
18	19	20	21	22	23	24
25	26	27	28	29	30	31

აგვისტო						
ორ	სამ	ოთხ	ხუთ	პარ	შაბ	კვ
1	2	3	4	5	6	7
8	9	10	11	12	13	14
15	16	17	18	19	20	21
22	23	24	25	26	27	28
29	30	31				

სექტემბერი						
ორ	სამ	ოთხ	ხუთ	პარ	შაბ	კვ
			1	2	3	4
5	6	7	8	9	10	11
12	13	14	15	16	17	18
19	20	21	22	23	24	25
26	27	28	29	30		

ოქტომბერი						
ორ	სამ	ოთხ	ხუთ	პარ	შაბ	კვ
					1	2
3	4	5	6	7	8	9
10	11	12	13	14	15	16
17	18	19	20	21	22	23
24	25	26	27	28	29	30

ნოემბერი						
ორ	სამ	ოთხ	ხუთ	პარ	შაბ	კვ
	1	2	3	4	5	6
7	8	9	10	11	12	13
14	15	16	17	18	19	20
21	22	23	24	25	26	27
28	29	30				

დეკემბერი						
ორ	სამ	ოთხ	ხუთ	პარ	შაბ	კვ
			1	2	3	4
5	6	7	8	9	10	11
12	13	14	15	16	17	18
19	20	21	22	23	24	25
26	27	28	29	30	31	

ბედნიერი
შობა
და
ახალი
წელი
გაგიხდეთ

საქართველოს ქორეოგრაფია

ISSN 2346-8041

9 772346 804000

მის: თბილისი, ც. დადიანის ქ.№26
ტელ.: 599 90 75 65
- საქართველოს ქორეოგრაფია;
www.qor.ge

სარედაქციო საბჭო:

რეზო ბალანჩივაძე
რეზო ჭანიშვილი,
იური ტორაძე,
თენგიზ უთმელიძე,
უჩა დვალიშვილი,
ზაურ ლაზიშვილი,
მურმან გამისონია.

საავტორო უფლებები დაცულია, მასალების გადაბეჭდვა რედაქციასთან შეუთანხმებლად დაუშვებელია, ავტორთა აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციისას. ავტორები თავად აგებენ პასუხს ფაქტების, ციფრებისა თუ ციტატების სიზუსტეზე. მასალებს ხუთ ნაბეჭდ თაბახზე მეტს ნუ შემოგვთავაზებთ. შემოსული მასალები ავტორებს უკან არ უბრუნდებათ.

რედაქტორი:
ოლეგ ალავიძე

პასუხისმგებელი მდივანი:
მანანა უშიკიშვილი

თანადამფინანსებელი –
ქართული ქორეოგრაფიის
ეროვნული ცენტრი:
ზაზა მჭავანაძე